

G  
1



Պ.Տ-Տ.Տ.Տ.





«ლიტერატურა და ხალოვნება»

თ გ ი ღ ი ს ი

დაზიანების მიმღებადი

ДАВИД КАКАБАДЗЕ

შესავალი ფინანსი  
მთავარი რეზისორის

ВСТУПИТЕЛЬНАЯ СТАТЬЯ  
ЛЕВАНА РЧЕУЛИШВИЛИ

გამოწევა დ. გაბაშვილის  
ОФОРМЛЕНИЕ Д. ГАБАШВИЛИ





ДАВИД  
КАКА  
БАД  
ЗЕ

DAVID  
KAKA  
BADZE

សាស្ត្រ  
ភាគ  
ខ្លួន  
សាស្ត្រ

C 57/115



## დავით ჭავაბაძე

დავით ჭავაბაძე ეკუთვნის მხატვრების იმ თაობას, რომელთა **შემოქმედებითი ცხოვრება** კაცობრიობის პროგრესის უდიდეს გარდატეხას დაემთხვა. მან განვლო რთული, პერიოდებში სრულიად საწინააღმდეგო მხატვრულ ძიებათა გზა — ერთი მხრივ ეროვნული ხელოვნების ტრადიციების გალრმავების, მისი **შემოქმედების** ახალ თვისობრიობაში გადახრდის და მეორე მხრივ კი XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპის ხელოვნების „ახალ“ მიმართულებათა გაზიარების, და მისი პრაქტიკულად ათვისების გზა. სწორედ ამ ერთი **შეხედვით** შეუთანხმებელ წინააღმდეგობებში ჩანს ხელოვანის ხასიათის მთლიანობა, წინასწარ დასახული გეგმის კანონზომიერი განხორციელება და მისი **შემოქმედებითი ხელწერის** განუმფლორებელი თავისებურება.

**შეუძლებელია** ამ არაჩევეულებრივად ორგანიზებული მშრომელი ადამიანის, ღრმად ემოციური და ამავე დროს ცივი ანალიტიკოსის, მრავალმხრივი ინტერესების მქონე და დაუინებული, ერთი მიზანსწრაფვის ხელოვანის **შემოქმედების** სახის სრული წარმოდგენა განვლილი მრავალფეროვანი ძიების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ ამ ალბომში, **შეძლებისდაგვარად**, თავმოყრილია მისი **შემოქმედების** გზისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი და **ყველა** მიმართულების ნაწარმოები, რომლებშიც აისახა როგორც **შემოქმედებითი მუშაობის** მთავარი გეზი, ისე გადახვევებიც.

როდესაც კვლავ ვთურულავთ ალბომში **შესულ** დავით ჭავაბაძის ტილოებს და ვიხსენებთ იმ ნაწარმოებთ, რომელთაც ვერ ჰპოვეს აქ ადგილი, თვალში გეცემათ მისი მხატვრული აზროვნების და განვლილი რთული **შემოქმედებითი გზის** მეტად დამახასიათებელი თავისებურება. უპირველესად ეს გახლავთ ბუნების **შეს-**

წავლის ცხოველი ინტერესი, მის ფართო მოვლენებში დაქინებული წვდომა და ძიება. შემდეგ კი დახატული სურათების მრავალფეროვნება, ძიებათა ნაირ-სახეობა, მხატვრული მანერის და ტექნიკის ცალებადობა, გაოცებას იწვევს მისი მხატვრული წარმოსახვის ფართო დიაპაზონი: რეალური ბუნება, ხილულის აბსტრაგირება და აბსტრაგირებულის ხილულად გაღმოცემა; პორტრეტი, ნატურმორტი, მთა-ველების თუ ზღვის პეიზაჟი, მინიატურა, კედლის მხატვრობა, თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება, წმინდა დეკორატიული კომპოზიციები, კინოსურათების თუ სახალხო აღლუმების და ქალაქის ქუჩა-მოედნების სადღე-სასწაულო გაფორმება და სხვა. მისი მოღვაწეობის სფერო სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრს მოიცავს. ზეთი, ფანქარი, აკვარელი, ლითონი, მინა და ტექნიკური გამოსახვის სხვა საშუალებანი მის ხელში სრულყოფამდეა აყვანილი.

დავით კაკაბაძე არც ერთ დასახელებულ ჟანრში, არც ერთ შერჩეულ მანერაში არ იჩენს მერყეობას. მისი ტალანტის თავისებურება სწორედ იმაშია, რომ მის ყოველ ნაწარმოებში, მხატვრული გზის ყოველ ეტაპზე ჩანს წინასწარი, ცხადად დასახული ამოცანა. ამოცანა ჯერ შინაგანად მიგნებული, სერიოზულად მოფიქრებული და შემდეგ ხორციელებული, ამოტვიფრული მხატვრულ ფორ-მაში. ამიტომაა რომ, მის განვლილ ეტაპებზე ჩვენ ვხედავთ უმთავრესად სერიულ ჯგუფებს, რომელშიც აშკარაა ხელოვანის მიერ დასმული ამოცანის ვარიაციუ-ლი დამუშავება და არა შეუცნობელი მოსინჯვანი ანუ საფეხურები საუკეთესო გადაწყვეტის მისაღებად. ყოველი ვარიანტი მისი სერიებიდან, ცალკე აღებული, მხატვრულად დამთავრებული, სრულყოფილი ნაწარმოებია.

დავით კაკაბაძის მხატვრული შემოქმედების თავისებურების გასაგებად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მას გარდა მხატვრული წარმოსახვის დიდი ნიჭისა მიღრეკილება ჰქონდა წმინდა მეცნიერული კვლევისაკენ. მეცნიერული ანალიზი, ექსპერიმენტი და განხოვადება მისი მეორე ბუნებაა. შემთხვევითი როდია, რომ იგი ერთდროულად ამთავრებს ხატვის კურსს დიმიტრიევ-კავკა-სკის კლასში და პარალელურად იღებს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნე-ბისმეტყველო დარგის მაღალხარისხოვან დიპლომს. თავიდანვე, მისი მაძიებელი გონება ვერ ისაზღვრება განსწავლის სფეროს ერთი დარგით.

მხატვარ დ. კაკაბაძის შემოქმედების გასაგებად უაღრესად დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს მის, როგორც მკვლევარ - ანალიტიკოსის, მეცნიერის ინტერესებს, რადგან დ. კაკაბაძის შემდეგი პრაქტიკული ცხოვრება და შემოქმედებითი საქ-  
მიანობა სამყაროს წმინდა მეცნიერული, ინტელექტუალური შემოქმედების და მისი სახოვანი გადმოცემის კონკრეტულ-მხატვრულ ფორმებში ყალიბდება. მისი შინა-  
განი ბუნების ეს ორი საწყისი, ხან ცალკეულად, ერთიმეორისაგან დამოუკიდებ-  
ლად ვლინდება, ხან კი მჭიდროდ იხლართება მხატვრული შემოქმედების პრაქ-  
ტიკაში.

აღსანიშნავია, რომ დავით კაკაბაძეს ეკუთვნის პირველი მეცნიერული ნარკვევი XII საუკუნის შესანიშნავი ქართველი ოქრომქანდაკებლის ბექა ობიზარის შესახებ. პერიოდიკაში მისი მრავალი წერილია გამოქვეყნებული ხე-  
ლოვნების თეორიის და პრაქტიკის საკითხებზე. ამავე დარგს უძღვნა მან ცალკე გამოცემული რამდენიმე წიგნი. დ. კაკაბაძე მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს და ამხაջებდა დიდ ნაშრომს ქართული ორნამენტის გე-  
ნეზის შესახებ. ახალგაზრდობაში დაწყებული ეს შოომა უფრო ინტენსიურად მუშავდებოდა შემოქმედების უკანასკნელ წლებში.

• დავით კაკაბაძე გამომგონებელიც იყო. მან პირველმა მიაგნო სტერეოსკოპიუ-  
ლი კინოს საიდუმლოებას. ამ გამოგონებაში მას პატენტი ჰქონდა მიღებული  
ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიაში. მაგრამ, საგულისხმო ისაა, რომ როდე-  
საც იგი სრულიად რეალური სტერეოსკოპიული აპარატის შექმნაზე მუშაობს  
და მრავალ ექსპერიმენტს აყენებს ოპტიკის დარგში, სახვითი ხელოვნების კონ-  
კრეტულ შემოქმედებით ნიმუშებშიც მიმართავს ანალოგიური, აბსტრაქტული,  
ოპტიკური ილუზიების ძიებას. საგანთა მოცულობის სტერეოსკოპიული გამო-  
სახულების მიღების ცდა მან მხოლოდ ეკრანით არ შემოფარგლა. იგი ცდილობს  
ფერითაც შექმნას ანალოგიური ილუზია ტილოზე. მას ეს იდეა იმდენად იტა-  
ცებს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არა ერთი საშუალებით ცდილობს  
მიაგნოს ფერის სივრცითი მოცულობის საიდუმლოებას ფერწერაშიც. ამ საი-  
დუმლოს ამოხსნისას იგი მხოლოდ და მხოლოდ ფორმაზე მუშაობს და ამ პე-  
რიოდში ქმნის აბსტრაქტულ კომპოზიციებს, რომლებშიც ჩართულია სარკეები  
და ოპტიკური ლინზები. ეს გატაცება დ. კაკაბაძის შემოქმედებით გზაზე პატა-  
რა ეპიზოდად დარჩა, მაგრამ მისი ხელწერისა და მხატვრული ინდივიდუალო-

ბის გასაგებად ჩვენ იგი უნდა გავითვალისწინოთ, რადგან სწორედ ამდაგვარ კომპოზიციებში გადაწყვეტილმა ფერწერულ-დეკორატიულმა აღოცანებმა, შემ-დეგ ში, მის რეალისტურად შესრულებულ ტილოებში, იპოვა ადგილი მხოლოდ და მხოლოდ როგორც ფერისა და სივრცის ძალატვრულ-დეკორატიული გადმო-ცემის შესანიშნავმა პროფესიულმა მიგნებამ.

როგორც ალვნიშნეთ დავით კაკაბაძის მხატვრული პროდუქციისათვის დამახასიათებელია სერიულ ნაწარმოებთა შექმნა. ერთი და იგივე ფორმატის, ერთი და იმავე მანერით და მასალით მას შესრულებული აქვს ათეული ნაწარ-ბოები ერთდროულად. ასეთებია უმთავრესად პეიზაჟები: თბილისის, ბრეტანის, სვანეთის, იმერეთის, კოჯორის მიღამოებისა და სხვა.<sup>1</sup> დავით კაკაბაძე თითოეული სერიისათვის ირჩევს შესრულების ერთს, განსაკუთრებულ მანერას; ერთი ფორ-მატის ტილოს, მასალას, ჩარჩოსაც კი და ცალკეულ სერიაში ფილიგრანული ვირტუოზობით ხვეწავს მას.

პარიზში მხატვრის ყურადღება ქალაქის პეიზაჟს და უანრს მიუზიდავს. (ბულვარში მოსაუბრეთა ჯგუფი, ბავშვის ძიძა ხელსაქმით), აკვირდება მდინარე სენის სანაპიროებს, ხიდებს, ქუჩის არქიტექტურას და სხვა. ეს პატარა უანრული სკენები თუ ქალაქის არქიტექტურული პეიზაჟები, დანახული და განჭვრეტილი ცოცხალი თვალით, მკვირცხლად არის ალბეჭდილი ფანჯრით პატარა ფორმატის ქალალდზე, მაგრამ რა ბრწყინვალე, თვალისმომჭრელი „ბრიოთი“ არის გადმოცემული ფანჯრის ბრტყელი მონასტებით ხან სენის მოლივლივე დინება, ხან კი პარიზის ბულვარებში ფოთოლთ შრიალი, ხის ღეროს სიმკვრივე ან ხის ათინათინებული ჩრდილი. ლსტატური, მკვრივი ნახატით და დამაჯერებელი რეალიზმით არის ალბეჭდილი, რთულ მოძრაობაში, უბრალო ადამიანების, პა-რიზელთა ყოფაცხოვრება.<sup>1</sup>

რა დიდი ზღვარია მუყაითად, ოდნავ მშრალად მოხაზულ 1918 წლის

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ მის მიერ სხვა თემაზე შესრულებული ნაწარმოებები ასევე ერთდროულად არის შექმნილი. ასე მაგალითად: 1913 წელს ხატას 4 პორტრეტს (3 ეგტოპორტრეტი, ერთი შევიძრის), 1914 წელს ორს (დედისა და ძმის), ხოლო 1917 და 1918 წელს კიდევ ორ პორტრეტს (ერთი განზოგადებული სახის „იმერეთი—დედა ჩემი“ და მეორე კვლავ „ავტოპორტრეტი ნაცრისფერი ხალათით“, ხოლო მისი ორად-ორა უანრული კომპოზიციაც („ბანანების გამყიდველი“ და „წურბელების გამყიდველი“) ერთისა 3 ვარიანტი, ხოლო მეორისა 2 პარიზშია შექმნილი ერთდროულად 1920-1921 წლებში. პორტრეტითა და უანრული სურათით იგი შემდეგში აღარ დაინტერესებულა.

ძეელი თბილისის პეიზაჟებსა და 1920-1921 წლების პარიზულ მსუბუქ, ექსპრესიულ და დინამიკურ სერიებს შორის.

თუ თვალს გადავავღებთ სვანეთის პეიზაჟებს, რომლებიც თითქმის ოცი წლის შემდეგ არის შექმნილი, ჩვენ სულ სხვა მიღებომას და ტექნიკას დავინახავთ. სვანეთის პეიზაჟებისათვისაც ისევე, როგორც თბილისისა და პარიზისათვის, ძირითადად გამოყენებულია ფანქარი. შტრიხების ის ეფექტური მოძრაობა, რომელიც პარიზული სერიის მხატვრულ სახეში თავისთავადი, დეკორატიულ-ემოციური აღქმის მომენტად იყო გამხდარი, აქ უკვე წინა პლანზე აღარ გვხვდება. ამ პეიზაჟებში ფანქარი მკვრივად, ენერგიულად უვლის კოშკების მკაცრ სილუეტებს, ჰკეტავს მათ და მტკიცე გუშაგებად ავლენს ზეაზიდულ პირქუშ ნაგებობებს. ფანქრის კონტური ფარგლავს ფერადი ლაქების საზღვრებს და უფრო მატერიალურს ხდის მათ.

ხოლო სვანეთის სერიიდან 10 წლის შემდეგ შექმნილი კიკეთისა და თბილისის მიდამოების სურათებში, იგივე ფანქარსა და აკვარელს სულ სხვაგვარი მხატვრული ამოცანის გახსნის როლი აქვთ დაკისრებული. აქ, ფანქარი მეორე პლანზე გადადის და ემორჩილება აკვარელის მსუბუქი ფერადოვნებით გადმოცემული მთიანი ლანდშაფტის მრავალპლანიანი სივრცის ჰაეროვნებას და რბილ სილუეტებს. რეალისტური ძალით, უკვე ყოველგვარი პირობითობის გარეშე აგებულ ამ სერიაში მხატვარს არ ღალატობს გემოვნება და განზოგადოების უტყუარი აღლო. \*

აქ მოტანილი სერიები მართალია ქრონოლოგიურად დაშორებული ეტაპებია მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და ამდენად მათ შორის უნდა იყოს განსხვავება სამყაროს გააზრებაში, მიღებომაში, (რაც არის კიდეც), მაგრამ მთვარია ის, რომ ყოველ სერიაში, როგორც გვიანდელში, ასევე აღრინდელში, მხატვარი სრულიად დამთავრებულ, პროფესიულად დახვეწილ ნაწარმოებებს ქმნის. მანერის ცვლა და ტექნიკურ საშუალებათა ნაირსახეობა შედეგია არა მისი პროფესიული ზრდისა ეტაპიდან ეტაპამდე, არამედ გამომდინარეობს, უმთავრესად, მხატვრული სახის დახასიათებიდან და ამოცანის სპეციფიკურობიდან. პროფესიული ოსტატობა ყველგან მაღალ დონეზეა და ყველა მის ნამუშევარს დევიზად წარემდლვარება მისივე გამოთქმა — „რა ნაწარმოებია თუკი სუსტად არის

შესრულებული!“! ნახატი და ფერადი ლაქა უკვე სავსებით დამორჩილებულია ფრანგულ სერიაში (პარიზი, ბრეტანი), მაგრამ სვანეთის, კიკეთის და თბილისის მიდამოების სახვითი ინტერპრეტაციისათვის მხატვარი ისახავს სხვა ამოცანებს და მას უფარდებს გამოსახვის მისეულ საშუალებებს. თუ პარიზის ქუჩის უანრულ ექსპრესიას მან თავისი ფორმა უპოვა, სვანეთის პირქუში სიღიადისათვის გამოძებნა სხვა ხერხი, ხოლო კიკეთის ბუნების ჰაეროვნებისათვის კი შეარჩია სათანადოდ შესატყვისი ფორმა.

აი სწორედ ასეთ მიღგომაში ჩანს დავით კაკაბაძის მხატვრული აზროვნების თავისებურება, სადაც დიდ მხატვრულ გემოვნებასთან ერთად შემოქმედების აქტში ჩართულია ინტელექტუალური განკვრეტის უნარი და გამოსახვის საშუალებების გაზრებული შერჩევა. ამიტომ არის, რომ მისი, ეს, თითქოს მსუბუქად გაკეთებული „ჩანახატები“, უფრო მეტია ვიდრე სინამდვილის ფიქსირება. ის, რაც გაკეთებულია მის მიერ იმდენად ზუსტად „ზის“ მხატვრულ განწყობაში, რომ გჯერა, მხოლოდ ეს არის ერთადერთი სწორი მიღგომა სახის გახსნისათვის, ვინაიდან თითოეულ შტრიხში, თითოეულ ფერადოვან ლაქაში ჩანს ცხადად შეგრძნობილი ამოცანა და ლრმა გააზრება. ესა თუ ის მიღგომა მას თავიდანვე აქვს მიზანდასახული, მკაფიოდ ჩამოსხმული ფორმაში და დახვეწილი მრავალ ვარიანტში.

„როდესაც სურათის რომელიმე ნაწილს დავუსვამთ კითხვას — რისთვის? პასუხი ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს თვით სურათის შემადგენელი ნაწილებიდანო“ — წერდა იგი თავისი მხატვრული ცხოვრების გარიერაჟზე და იგივე აზრი უდევს საფუძვლად მის მთელ შემოქმედებას. დასახული ამოცანის ეს სიცხადე და მისი ყოველი ნაწილის მხატვრული ლოგიკურობა წარმოადგენს კაკაბაძის სურათების მთავარ ლირებას.

მაგრამ, გონიერის საწყისის ასეთი მძლავრი შეჭრა კაკაბაძის მხატვრულ აზროვნებაში არ ბოჭავს მის მხატვრულ ემოციებს, აღქმის უშუალობას. პირიქით, იგი მხოლოდ აკონტროლებს მის ძლიერ ემოციურ პოტენციალს. მისი დამთავრებული სურათი-პეიზაჟი ისეთივე ცოცხალი, უშუალო და ხალისიანია, როგორც ნატურიდან დაწერილი ეტიუდი. ხოლო თვით ეტიუდიც ამავე დროს სრულიად დამთავრებული ნაწარმოებია. დ. კაკაბაძის პეიზაჟი-ეტიუდები, რომ-



ლებიც უშუალოდ „ნატურილან“ არიან დაწერილნი უფრო მეტია ვიღრე სახელ-ლებიც უშუალოდ ფიქსირებული „ჩანახატი“. მას ეტიუდები დღევანდელი გაეგბით არც დახელოდ ფიქსირებული „ჩანახატი“. მას ეტიუდები დღევანდელი გაეგბით არც შეუქმნია და ამაში ჩანს მისი შემოქმედებითი პროცესისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური განწყობის თავისებურება, სადაც ერთდროულად ჩართულია მაძიებელი გონების საწყისები და გრძნობიერებით ამოძრავებული მხატვრულ განცდათა კომპლექსი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ყოველ ნაწარმოებში ახლებურად ისმება ფორმის საკითხი — „როგორ“. გარდამ, ეს „როგორ“ ყოველთვის გამომდინარეობს თვით „რაღან“. შემოქმედებითი პროცესის ძიება მიმართულია იქითკენ ტუ ეს „რა“, როგორი მხატვრული საშუალებით და მანერით უფრო სრულყოფილად იქნება ხორციშესხმული. ეს პროცესი ჯერ მხატვრის შიგნით ფორმირდება, მწიფდება ხანგრძლივად, ხოლო როდესაც შემოქმედების შიდა ხილვა დება, მწიფდება ხანგრძლივად, ხოლო როდესაც შემოქმედების შიდა ხილვა აბ ორ „რას“ და „როგორს“ უკვე ერთ ფოკუსში თავმოყრილს და შესისხლად ხედავს, მაშინ ვულკანური ძალით ამოხეთქავს მისი შემოქმედების ხორციშესხმულს ხედავს, მაშინ ვულკანური ძალით ამოხეთქავს მისი შემოქმედების თი ენერგია და სწრაფად იბადება ადგილზე „პირველად“ ნანახი და სურათით ეტიუდების მთელი სერიის პრაქტიკულად ნამდვილი, პირველი „ჩანახატიც“. ეტიუდების მთელი სერიის პრაქტიკულად ნამდვილი, პირველი „ჩანახატიც“.

1 დავით კაპაბაძის მხატვრული „შემოქმედების თემატიკულ ოეალტუამი საგანგებო აღგილი უჭირავს იმერეთის ბუნებას, „იმერეთი“ მხატვრის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფურცელია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ თემას მიუძღვნა თავისი სურათების უმეტესობა, არამედ უმთავრესად და უპირველესად იმიტომ, რომ ეს არის მისი „საკუთარი“ თემა. თემა შინაგანად მიგნებული, გონებით გა-აზრებული და მხატვრულ სრულყოფამდე აყვანილი.

დავით კაკაბაძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს თვლიდა რომ: „საუკეთესო მასწავლებელი ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი“<sup>1</sup>. ამ ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი“<sup>1</sup>. ამ ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დ. კაკაბაძეს, პირად არქივში დაცულ ერთ-ერთ 1915 წლის ხელნაწერში, დასახული აქვს მომავალი მუშაობის პროგრამა „თუ რა მინდა ქსტევა მხატვრული ნაწარმოებით“. მისი „credo“ ჩემთვალიბებულია ექვე ძირითად პრინციპში: უპირველეს ყოვლისა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა, 2. ხალხის, მისი ზე-ჩვეულების და ცხოვრების შესრულება, 3. გაც-1. უპირველეს ყოვლისა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა, 2. ხალხის, მისი ზე-ჩვეულების და ცხოვრების შესრულება ენა“ 4. რაც ზეიძლება შეტერი ცოლნა—ნობა ხელოვნებისა ნაშებისა, რათა შეიგნო რაში გამოხატვობოდა წინათ „მხატვრული ენა“ 5. მხატვარს უნდა ასლოდეს, რომ ხელოვნება—გაცნონ ხელოვნების სხვადასხვა პრინციპებს (შექმნილ სხვადასხვა ერის მიერ), 6. მხატვარს უნდა ასლოდეს, სადაც აღიზარდა და შეცნიერება, 6. საუკეთესო მასშაცვლებელი ქართული „მხატვრული ენის“ მიგნებისათვის არის ბუნება, სადაც აღიზარდა და ცხოვრობს ქართველი ერი“.

ენის“ მიგნებისათვის მას მიზნად დაუსახავს მშობლიური იმერეთის ბუნების სილამაზის გადმოცემა, სადაც თვითონვე დაიბადა და გაატარა სიჭაბუკის წლები.

მთაგორიანი ბუნების შვილის გამრჯე ხელით აჭრელებული ციცაბო მთის კალთების სილამაზე ღრმად ჩაიბეჭდა ჭაბუკი დავითის გულის სიღრმეში და მხატვრის მიერ „პირველადმოჩენილი“ იმერეთის ბუნების ამ ფერადოვნების საოცრების ასახვა ტილოზე, შემოქმედების ფანტაზიის უშრეტ წყაროდ იქცა. „იმერეთის“ თემის დამუშავების ეს ენიანი წყურვილი ჯიუტად სდევს მას მთელი ცხოვრების გზაზე და ვერ დააშრო იგი ვერც ბიოლოგიურ მეცნიერებათა შესწავლის სურვილმა, ვერც ინუინერულ გამოგონებათა ზუსტმა გამოთვლებმა და ვერც აბსტრაქტულ ხელოვნებაში ვარჯიშის წლებმა. ამ სანუკვარ თემას იგი არ ლალატობს არც ერთ თავის მრავალფეროვან ძიებათა ეტაპზე. თვით კუბისტური, წმინდა აბსტრაქტული, ფორმალისტურ-დეკორატიული ძიება-ვარჯიშობანი ფერისა და სივრცის სიბრტყეზე გამოსახვის განყენებულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის გამიზნულია, თითქოს, მხოლოდ იმისათვის, რათა პირველნახულს, მშობლიური ბუნების სურათებს მისცეს ახალი პროფესიული ძალა; გაამდიდროს იგი ახალი შინაარსით და გამომსახველობის ახლებური ფორმით.

დავით კაკაბაძე ჯერ კიდევ მოწაფეობაში წერს იმერეთის სოფლის დამახასიათებელ კუთხეებს. ეს ქალალდზე ფანქრით გადმოწერილი „ნატურის“ პირველი გაკვეთილები ამჟღავნებს ბავშვის, დაკვირვების უნარს. აქ უფრო მეტად გულუბრყვილო და კეთილსინდისიერი ფიქსაციაა სამყაროსი. სტუდენტობის დროს პეტერბურგიდან სამშობლოში საზაფხულოდ ჩამოსული ჭაბუკი უკვე ჭარბად ხატავს. ახლა ეს ეტიუდები ფერში, უფრო მეტია, ვიდრე სინამდვილის ფიქსაცია. მათში აშკარაა საკუთარი, აქტიური ხედვა და ნატურის შემოქმედებითი ასახვა. მაგრამ „იმერეთი“ უფრო ინტენსიურად 1918-1919 წლებში მუშავდება უცხოეთში მხატვრის გამგზავრების წინ. ამ პერიოდში უკვე მიგნებულია ბუნების ასახვის საკუთარი სტილი, სინამდვილის კაკაბაძისეული განზოგადების მანერა, სხვისგან განსხვავებული მხატვრული ხედვა. სწავლის წლები განვლილია. ყალიბდება მხატვრული მრწამი — ახლა საჭიროა მხოლოდ პროფესიონალიზმის შემდეგი საფეხურების დაუფლება: „რაც შეიძლება მეტი ცოდნა

და გაცნობა ხელოვნების სხვადასხვა პრინციპებისა“. პროგრამის ამ, ნაწილის განსახორციელებლად იგი უცხოეთში მიემგზავრება.

დ. კაკაბაძემ პარიზში შვიდი წელი დაჭყო. იქ გაატარა შემოქმედებითი და მძაფრი ინტენსიური მოღვაწეობით დატვირთული წლები. კაკაბაძის „პარიზული“ პერიოდი ჯერ არაა ჯეროვნად შესწავლილი და შეფასებული. მაგრამ, სწორედ ამ წლებში იშლება კაკაბაძის მრავალფეროვანი ტალანტი და დამახასიათებელი მიზანდასახული შრომის უნარი, მისი მიღწევებიც და ცნობისმოყვარეობის შეცდომებიც. იგი ამ პერიოდში ქმნის სტერეოსკოპიულ კინოაპარატს, ეუფლება ხელოვნების ისტორიის მეცნიერებას (ლუვრის მუზეუმთან არსებულ ხელოვნების ისტორიის სკოლის კურსს ამთავრებს), მონაწილეობს გამოფენებში ყოველწლიურად, კითხულობს საჯარო ლექციებს ხელოვნების თეორიის საკითხებზე, წერს და ბეჭდავს წიგნებს, გზავნის კორესპონდენციებს საქართველოში და სხვა. მისი წმინდა მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკაც ასევე დატვირთულია. მხოლოდ აქ იგი წარმატებულია ორი გზით, ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით — რეალისტური ძიებით და აბსტრაქტული ვარჯიშით. ორივეგან იგი აღწევს წარმატებას. სწორედ პარიზში შექმნა მან თავისი რეალისტური ორი ქანრული ტილო „ბანანების გამყიდველი“ და „წურბელების გამყიდველი“, აგრეთვე პარიზის ქუჩების და ჟანრის ცოცხალი სურათები. აქ იგი სერიებით წერდა აბსტრაქტულ კომპოზიციებსაც. ამ სფეროში იგი აღიარებულ ოსტატად მიიჩნია ბურუაზიულმა საზოგადოებამ და მუზეუმებმა მისი მრავალი ნაწარმოები შეიძინა.

საინტერესოა, რომ მშობლიურ მიწას მოწყვეტილი მხატვარი უცხოეთში არც ერთხელ, არც ერთ ნაწარმოებში არ იხსენიებს თავის საყვარელ თემას „იმერეთს“. თვით „წურბელების გამყიდველშიც“ კი, სადაც ფონად ქართული ანტურაუია გამოყენებული ალარ ჩანს კაკაბაძისეული „იმერული პეიზაჟის“ მოტივები. მაგრამ სწორედ სამშობლოში გამომგზავრების წინ, 1927 წელს, დ. კაკაბაძე კვლავ უბრუნდება მშობლიურ ბუნებას — იმერეთს, რომელიც სინამდვილეში მას არც ერთი წუთით არ დავიწყებია. ამ გახსენებას მხატვარმა (მონოქრომულად დაწერილ სურათს) „ინდუსტრია“ უწოდა. ძნელი მისახვედრია ახლა თუ რა უნდოდა ეთქვა ამ ფანტასტიკური სურათით დ. კაკაბაძეს. რა არის ეს? სინამდვილისა და გამოგონილის შერწყმის ექსპერიმენტი თუ მომავალი მუშაობი-

სათვის დასახული პროგრამა! მრწამსი თუ კონფლიქტი! — ერთი კი ცხადია, ამ უცნაური სურათით იგი წერტილს უსვამს აბსტრაქტუაში ვარჯიშს. ამ „უცხოურით“ გატაცების პრაქტიკული ჟინი უცხოეთშივე მოიკლა და სამშობლოში ისე დაბრუნდა. მაგრამ ინდუსტრიალიზაციის თემა მისი გონიერიდან არ იდევნება. იგი მასში გრძნობს ახალი ეპოქის პროგრესს და ამ პროგრესული ძალით გარდაქმნილი ბუნების ჩვენებას სამშობლოშიც შემოქმედების საპატიო ამოცანად მიიჩნევს. სამშობლოში, ახალ საქართველოში, საბჭოთა სინამდვილეში დაბრუნებული დ. კაკაბაძე მთელი თავისი შეგნებით ილტვის იმისათვის, რათა თავისი მოღვაწეობით სარგებლობა მოუტანოს ახალ საზოგადოებას.

მისი მხატვრული მოღვაწეობა ახალი ეტაპის დასაწყისშე იფარგლება (გარდა პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისა) რევოლუციურ დღესასწაულთა და აღლუმთა დეკორატიული გაფორმებებით, თეატრში და კინოში მუშაობით ე. ი. წმინდა მხატვრული დეკორატიული შემოქმედებით. 1933 წლამდე იგი არც ერთ დაზგურ სურათს აღარ ქმნის. იგი დუმს, მაგრამ ეს დუმილი მრავლის მეტყველია. იგი ეძებს ახალ ცემას და სურს მისი ახლებურ ფორმაში ჩამოსხმა. ეს თემა მან ჰპოვა კვლავ თავის სამშობლო იმერეთში, ახალი ინდუსტრიებული მშენებლობით გარდაქმნილ ბუნებაში. ამჟამად არა ოცნება და უცნაურობა, არამედ თვალით ნანახი, ხელშესახებად ნამდვილი ინდუსტრიული პეიზაჟი — „რიონჰესი“ (1933 წ.). „რიონჰესი“ დ. კაკაბაძის შემოქმედებაში ახალი ეტაპის დასაწყისია და ამავე დროს ადრინდელ მხატვრულ მონოპოვართან გადებული ხილიც.

„დ. კაკაბაძე ქართველ მხატვართა შორის პირველთაგანია ვინც შექმნა ქართული ბუნების დაზგური სურათი, სურათი განზოგადებული და არა ნატურილან აღმეჭდილი ეტიუდი. ეს ამოცანა მან ჯერ კიდევ უცხოეთში გამგზავრების წინ 1918 წელს გადაჭრა. გასაგებია, რომ პუნქტუალური და გონებით მჭვრეტი შემოქმედი დიდ მნიშვნელობას აძლევდა სურათის სახელწოდებასაც: — „სურათის სახელში უნდა მოჩანდეს მთელი შემაღენლობა, რადგან სურათის რკალი მისი სახელით იქცედებაო“. თავის პირველ სურათს, შექმნილს მხატვრული განსწავლის დასასრულს და შემოქმედების დამოუკიდებელ სარბიელზე გამოსვლის პირველ ეტაპზე, პირველ დიდ სურათს უწოდა „იმერეთი — დედა ჩემი“.

„იმერეთი—დედა ჩემი“ მხოლოდ მშობლის პორტრეტი არ არის. იგი დედისა და მშობლიური ბუნების ფერწერული ოდაა დაჭამავე დროს შემოქმედებით სიმწიფე ში გადასული ხელოვანის პირველი აღსარებაც. მოგრძო ჩარჩოთი შემორკალული სურათის მარცხენა კუთხეში, წინაპლანზე კუნძხე მჯდომარე გლეხის ქალი დაკოურილი ხელებით ძაფს ართავს. შრომით მოღლილი, შრომითვე ისვენებს. ნაცრისფერი ხალათი, შავ კაბაზე გადაგდებული თეთრი მოსახვევი და წითლად მოელვარე ფლოსტები. სადა და ლაკონიური მუქი ფერადოვანი დახასიათება სახისა საუცხოოდ „ჩამჯდარა“ ქალის მოთენთილ, ოდნავ გარინდებულ განწყობილებაში. ასევე თავდაჭერილ ტონალობაშია დაწერილი ჯონად გაშლილი რიონის ხეობის სიკრცე. თვალუწვდენები მიწის ნაკვეთები მთლად ფარავენ სასურათო სიბრტყეს. ცა არა ჩანს — მხოლოდ მიწა. ასევე, შრომით გადახალისებული დედამიწა. ფონში ძირითადად მწვანეა ნახმარი. ჭარბობს მუქი ზურმუხტი. მთის ფერდობებზე ხალიჩასავით დაგებული მინდვრების ყვითელი და წითელი ლაქების მოზაიკური წყობა ბაცათაა დაჩითული უკანა პლანზე. სიღრმეში ფერთა ასეთ მკრთალ მეზობლობას შემდეგ ში მხატვარი ალარ იმერებს, ისევე როგორც „ნატურალისტური“ პედანტობით გამოწერილ წინა პლანის მცენარეებსა და ჭიალუას, რომელშიც უფრო მეტად ძველ ასტატთა მონაბოვრის გაზიარება ჩანს.

პარიზში ფერზე განყენებულმა ვარჯიშმა უფრო დახვეწა მისი პალიტრა და გაბედული ძალოვნება შემატა კოლორიტს. ლოკალურ ფერთა მეზობლობა უფრო მკვეთრი და კონტრასტული გახდა. ფერის ძალოვანება ყოველ პლანში მთელი თავისი შესაძლო სიკაშვაშით აელვარდა. სურათიდან ფერის ამოსსივოსნებას უდიდესი ყურადღება დაეთმო და სავიტრაჟო ნამუშევრისათვის დამახასიათებელი საეციფიური მომხიბვლელობა მიიღო. ასეთებია 1934 წელს შექმნილი „იმერული პეიზაჟების“ სერია, ასევე 1939 წ. დაწერილი „რიონპესი“. ასეთია მისი უკანასკნელი სურათი იმერეთის ციკლიდან „წითელი მთა“ (1944 წ.).

„რიონპესის“ ინდუსტრიული პეიზაჟით ხსნის კაკაბაძე თავისი საბჭოური პერიოდის ახალ ეტაპს: გონების დამახასიათებელი ჯიუტობა, უცხოეთში გამჯდარი იდეის შეუდრევებელი განხორციელება, მაგრამ ამჯერად კარა უხილავის ხილულად გარდასახვა, არამედ ხილული რეალობის მხატვრული ხორცშესხმა. ადგილზე ჩახატული რიონპესის მშენებლობის სურათები (1933 წ.) საინტერესოა



თავისი მკაცრი სწორხაზოვანი ნახატით. სახაზავსა და ოეისშინას გარკვეული წესრიგი შეაქვთ გულმოდგინედ გადმოწერილ საგენერატორო სადგურის მშენებლობის პროცესისათვის დამახასიათებელ ქაოსურ ნებისმიერებაში. ხოლო ნიადაგის კაპრიზული ხაზების დინება და მსუბუქად გადაკრული აქვარელური ფერები, ისევე, როგორც ორნამენტულად მოჩითული ბალახის აღმნიშვნელი ტალღისებური ხაზები (ამჯერად XVII ს. ქართული მინიატურით შთაგონებული), მთელ კომპოზიციას ანიჭებენ ერთგვარ სიხალისეს და მსუბუქ დეკორატიულობას. უკვე ამ ინდუსტრიული პეიზაჟით ცხადი გახდა თუ რა ღრმა გარდატეხა განიცადა კაკაბაძის მხატვრულმა ხედვამ (ირეალურიდან ოეალურისაკენ) პარიზში შექმნილი „ინდუსტრიის“ შემდეგ. რამდენად უცხოა „ინდუსტრიაში“ მონაქრომულად გადმოცემულ მთაგორიანი, კაკაბაძისეული იმერეთის ბუნებაში შეჭრილი კუბისტური ნაგებობის გიგანტური ნაბიჯები და რამდენად მართალია საბურთა საქართველოში თვალით ნანახი სინამდვილე. ამ უკანასკნელ, უფრო მეტად არქიტექტურულ ნახატში აშკარად ჩანს კაკაბაძისეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და ინჟინერულ ნაგებობათა ფორმებში ამომწურავად ზუსტად გარკვევის სურვილი. მაგრამ, ცხადია კაკაბაძე-შემოქმედი ვერ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ გადმოწერილი ეტიუდებით, რომელშიც, მართალია ჩანს მხატვრული ამოცანა, გარკვეული შერჩევა, და წმინდა დეკორატიული ელემენტების შეტანის სურვილი, მაგრამ მისი მთავარი მოწოდებაა ფერწერული ტილო-სურათი.

ეს განხორციელდა სამ დიდ ნაწარმოებში: „რიონჭესი“ (1934, 1939.), „მიტინგი იმერეთში“ (1942 წ.) და „სამშობლოს ცა—1942 წ.“ (1943 წ.). ამ უფრო მეტად სურათ-პეიზაჟებში დავით კაკაბაძე აჩვენებს ახალ იმერეთს—ინდუსტრიულს, სადღესასწაულოდ განწყობილს ოქტომბრის რევოლუციის ბელადების სურათებით და ფაშისტ თავდამსხმელთა ყუმბარებით ამღვრეულ შშობლიურ ცას. კაკაბაძის ეს პეიზაჟები საინტერესოა იმით, რომ იგი შინაარსითაც სრულიად ახალია, ვიდრე 1918 წლის „იმერეთი—დედა ჩემი“. აქ ფერდალური რომანტიკით შეფერილი ბუნების ნაცვლად (ძველი კოშკები) ახალი განცდით, ახალი ტექნიკური პროგრესით ამეტყველებული დედამიწაა. ფორმალური მხარე თითქოს აგრძელებს „ძველ ხაზს“, მაგრამ სულ სხვა, ახალი

სიმძაფრის ხარისხშია ასული. რამდენად მაჟორული, მზიური და ხალისიანია ყველა „იმერული“ სურათი დაწერილი საბჭოთა პერიოდში, 1918 წლის ტილოებთან შედარებით. ამ თითქოს პატარა ნიუანსით დიდი გარდასახვის ძალაა მოცემული. ახლებურია ხედვა და ამაშია კაკაბაძის მხატვრული ზრდის სპეციფიკა. მაგრამ მიუხედავად ამისა „იმერეთის“ თემა მაინც ერთი მთლიანი ციკლია მხატვრის შემოქმედებაში და ერთ-ერთი ხაზი მხატვრულ-დეკორატიულ ამოცანათა ძიებაში, მხოლოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დახვეწილი. ამ თემაში ძიება მიმართულია ბუნების სახის არა იმდენად ილუზორული ასახვის ნატურალისტური ფიქსაციისაკენ, რამდენადაც მისთვის დამახასიათებელი დეკორატიული სილამაზის სრულყოფისაკენ. ამოცანა, რომელიც ნაკარნახევია თვით ამ კუთხის ქართული ლანდშაფტის ხასიათით. შთაგონების წყარო ქართული ბუნების წიაღიდან ჩქეფს. ამიტომაა, რომ კაკაბაძისეული განზოგადება იმერეთისა, განზოგადება თითქმის აბსტრაგირების ზღვარამდე მისული, მაინც ნამდვილი და ცხოვრებისეული სინამდვილის ამაღლებულ გარდასახვად იკითხება. იმერეთის ბუნების მხატვრული სახე იმდენად სწორად არის შთაბეჭდილი მხატვარში და ისეთი მართალია ხელოვანის პოეტური შინაგანი ხედვა, რომ დღეს კაკაბაძის მიერ დანახულ იმერეთს მხოლოდ კაკაბაძისეული ასპექტით ვხედავთ. ეს კი არის შემოქმედებითი გარდასახვის ის ღირსება, რომელიც მხოლოდ კეშ-მარიტ ხელოვანთა ხვედრს შეადგენს.

: ყურადღებას იპყრობს ერთი თავისებურება კაკაბაძისეული იმერეთის პეიზაჟისა. მათში იგრძნობა მზე, მაგრამ არსად და არცერთგან არ ჩნდს მზის სხივები. ეს პარადოქსი შემთხვევითი არაა, რადგან კაკაბაძე იმერეთის პეიზაჟში ამოცანად ისახავდა არა აკაშკაშებული მზის სხივების დაწერას (დამახასიათებელი კონტრასტული შუქჩრდილით) არამედ, როგორც ის განმარტავს ფერის სიძლიერით ამოსხივოსნებულ შუქს. 1944 წელს დაწერილ „წითელი მთაში“ ეს ამოცანა ყველაზე სრულყოფილადაა გადაწყვეტილი და როგორც ჩნდს დ. კაკაბაძის აზრით, მხატვრული ძიების ერთ-ერთი ამოცანა უკვე შესრულებულია ყველა თავის შესაძლო ვარიაციაში. მას აქ სათქმელი აღარაფერი აქვს და „წითელი მთით“ ამთავრებს „იმერეთის“ ციკლს.

დ. კაკაბაძის მხატვრულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია შემოქმედების

მეორე ხაზიც — ხილული სამყაროს ოფიციალური მეთოდით ასახვა, სადაც საგნები, ილუზორულ ფორმაში ჩამოსხმული, გაღმოცემულია თავის ბუნებრივ გარემოცვაში. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ჯანსაღი, სიყრმითვე თანდაყოლილი ტენდენცია სამყაროს საგნობრივი ხედვისა, რომელიც მტკიცედ ჩაიკირა დიმიტრიევ-კავკასიის მკაცრ აკადემიურ სკოლაში და ასე სრულყოფილად გამოვლინდა სურათში „იმერეთი — დედა ჩემი“, კაკაბაძის გზის მუდმივი თანამგზავრია. 1913 წელს, როდესაც ის „კუბიზმის“ მოდური გავლენით ჰქმნის რამდენიმე კომპოზიციას და ე. წ. კუბისტურ „ავტოპორტრეტს“, იმავე წელს ასრულებს თავის „შესანიშნავ“, ოფიციალურ „ავტოპორტრეტს ბრონქულებით“. ხოლო თვით პარიზში „უსაგნო“ ხელოვნების გატაცებათა მძაფრ პერიოდში პარალელურად ჰქმნის ზემოთმო ყვანილ წმინდა ოფიციალურ სურათებს („პარიზი“, „ბანანების გამყიდველი“, „წურბელების გამყიდველი“). ეს ხაზი გაპყვება საბჭოთა პერიოდამდე შექმნილ ყველა პორტრეტს (გარდა ზემოხსენებული კუბისტურისა), პეიზაჟებს, „ქართულ ნატურმორტს“. საბჭოთა პერიოდში, კი სამშობლოში დაბრუნების დღიდან იგი განუხრელად უარყოფს „უსაგნო“, უიდეო ხელოვნებას და ახვითარებს მხოლოდ მეორე, ოფიციალურ ხაზს.

